# 1870 წლის 22 აპრილს დაიბადა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. კაცობრიობის დიდი ბელადის ხსოვნა მარად უკვდავია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაბათობაზე ჩქეფდა სიცოცხლე!

### ნორჩების შრომის ფერხული

სამუშაო იარაღებით აღჭურვილმა მოსწავლეებმა სამწყობრო ნაბიჯით და პიონერული სიმღერით დატოვეს „ლოკომოტივის" საცურაო აუზის ტერიტორია. ბავშვებმა გეზი აუზისა და ორთაჭალჰესის მომიჯნავე სკვერისკენ აიღეს. ეს იყო „ლოკომოტივის" საწყლოსნო სახეობების სპორტსკოლის პირველი ჯგუფი, რომელიც დილის 8 საათზე გავიდა შაბათობაზე. შემდეგ, ისევე როგორც ცისფერ ბილიკებზე ვარჯიშობენ ხოლმე, ჯგუფები რიგრიგობით გამოდიოდნენ სამუშაოდ, იქიდან კი დიდი ხალისითა და განახლებული ენერგიით ბრუნდებოდნენ მეცადინეობაზე.

მარტო დილის პირველ ნახევარში შაბათობაში 150-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მათ გულმოდგინედ გაასუფთავეს სკვერი და აუზთან მისასვლელი გზა, გამოთოხნეს და გამოაჩინეს ტროტუარის ბორდიურები, რომელიც დროთა განმავლობაში მიწას დაეფარა. ნორჩებს შრომაში მშობლებიც წამოეშველნენ და სამუშაო ობიექტიდან დიდძალი ქვა, მიწა თუ ნაგავი გაზიდეს.

შაბათობაზე განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა 65-ე საშუალო სკოლის კოლექტივი (დირექტორი გ. ჩალაური), რომელსაც სპორტული სკოლა უწევს შეფობას, სამაგალითოდ იშრომა სპორტსკოლის საზოგადოებრივი მწვრთნელის ზ. მანაშვილის ბრიგადამ. ბრიგადის წევრებმა: 65-ე სკოლის V კლასის მოსწავლეებმა მაია ესებუამ, მზია მელქაძემ, ნონა კობალაძემ და მერი ჩარკვიანმა წინადადება წამოაყენეს, ჩვენს მიერ დასუფთავებულ სკვერს მომავალშიც ვიზრუნოთ; მოვაკლოთ მზრუნველობაო. სკვერთან ამ დღეებში გაკეთდება სპორტსკოლის მოსწავლეთა შეფობის აღმნიშვნელი წარწერა.

მოსწავლეები, რომლებმაც ლენინურ შაბათობაზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, სპორტული სკოლის სიგელებით დაჯილდოვდებიან.

ც. ძიმისტარიშვილი.



გ. თაშვილის ნახატი.

## მახარაძელები დიდ სარბიელზე

ბრესტში ჩატარდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა 240 ნორჩი ათლეტი.

ტურნირმა დიდი სარბიელისკენ გაუკაფა გზა ბევრ ახალბედა მოჭიდავეს. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში პირველად მოხვდნენ ნოვოსიბირსკელი სეფელოვი, ხაბაროვსკელი მიხაილიუკი, ტაშკენტელი ფატკულინი, ბაქოელი მეხრალიევი, კიეველი ბერეჟნოაკი, ჟიტომირელი კრავჩენკო, ტიუმენელი შპილკინი და სხვ. როგორც ხედავთ, ამ ასპარეზობის შემდეგ საგრძნობლად გაფართოვდა ნაკრების „გეოგრაფია", ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლასიკური ჭიდაობა სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ნორჩ სპორტსმენებში.

ჩემპიონატისადმი ინტერესი ერთიორად გაზარდა ახალმა წესებმა, რომლებიც ფრეს გამორიცხავს. ახლა მოჭიდავეები პირველიდან ბოლო წუთამდე აქტიურად, თავგამეტებით იბრძვიან. თუ ერთ-ერთმა მეტოქემ მიიღო 12 მომგებიანი ქულა, ბრძოლა წყდება. სპორტსმენებს ამ სიახლემაც აქტიური ჭიდაობის სტიმული მისცა.

საკავშირო ჩემპიონატი ძალთა შემოწმებას წარმოადგენდა საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობის" წინ, რომელიც შუა აგვისტოში ვოროშილოვგრადში ჩატარდება. ცხადია, ნაკრების მწვრთნელები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ ნიჭიერ მოჭიდავეთა შეხვედრების მიმართ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მაკარენკომ (ენაკიევოს „სპარტაკი"), ბულავინმა (ნოვოსიბირსკის „დინამო"), ბერეზინმა (მოსკოვის ოლქის „სპარტაკი"), პივოვაროვმა (ტამბოვის „შრომითი რეზერვები"), რაზინმა (ჟიტომირის „კოლოსი"), ბატანოვმა (ულიანოვსკის „დინამო"), ბლესნინმა (კიროვის „სპარტაკი"), დონსკოვმა (ვოლგოგრადის „სპარტაკი"), პოკოსენკომ (ხაბაროვსკის „სპარტაკი"), ვოკმა (ზაპოროჟიეს „დინამო"), ბოლქვაძემ (მახარაძის „სპარტაკი").

როგორც ხედავთ, გამარჯვებულთა შორის არის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, მძიმეწონოსანი ო. ბოლქვაძე, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ტურნირი და დამსახურებული წარმატებაც იზეიმა.

სხვათა შორის, ამ ტურნირში თავი ისახელეს ქალაქ მახარაძის სხვა სპორტსმენებმაც: ზურაბიანსა და ხმელიძეს წილად ხვდათ II, ხოლო მუჯირს — III საპრიზო ადგილები. II ადგილზე გავიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღზრდილი ყუბუსიძე.

მახარაძის რაიონის სპორტსმენთა (ისინი ყველანი „სპარტაკის" წევრები არიან) წარმატებას უდავოდ აქვს საფუძველი. კარგა ხანია, რაც ჭიდაობა იქაური ახალგაზრდებისთვის საყვარელი სპორტი გახდა. ფიზკულტურულმა აქტივმა ფართო პროპაგანდა წამოიწყო სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, დააინტერესა ახალგაზრდობა და, როგორც ხედავთ, წარმატებებმაც არ დააყოვნა. ოთხი პრიზიორი ასეთ დიდ ტურნირში — მახარაძის რაიონის ჭიდაობის მესვეურთა ნაყოფიერი შრომის ღირსეული აღიარებაა.

ი. ფეცქიალაძე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№79 (5109)

1974 წ. 21 აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

## არჩევნებში აქტიურად მონაწილეობისთვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის მზადებაში ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობისთვის ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება. ეს დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და უწყებების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს:

აქტიური მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებაში, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის გაშალონ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, განუმარტონ მათ სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხები, გააცნონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებები, მეცხრე ხუთწლედის ამოცანები, საბჭოთა საარჩევნო სისტემის პრინციპები;

სპორტული ნაგებობები და ბაზები გადააქციონ არჩევნებისადმი მიძღვნილი მასობრივი და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის — ლექციების, მოხსენებების, ახალგაზრდა ამომრჩეველთა საღამოების ცენტრად;

მოაწყონ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში (მათ შორის, ეროვნულში), მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, გამართონ სააგიტაციო გადარბენები, ესტაფეტები, სტადიონებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, სასახლეებში, კლუბებში ჩაატარონ სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

არჩევნების დღეს, 16 ივნისს, ღონისძიებანი საკუთარი ძალებით, სპორტსმენთა საცხოვრებელი ადგილებიდან გაუსვლელად უნდა გაიმართოს.

### რაიონებში სპორტსმენები

**✦ კასპი**

„კოლმეურნის" რაისაბჭომ მოაწყო მოჭადრაკეთა და მოშაშეთა გუნდური პირველობა. მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა, I ადგილი კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა დაიკავა. მოშაშეთა ტურნირშიც 12 გუნდი ჩაება. ჩემპიონობა მოიპოვა ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის გუნდმა. ზემოხანდაკელებმა გაიმარჯვეს მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაშიც, სადაც 12 გუნდი უწევდათ მეტოქეობას.

ლ. ელისაბედაშვილი.

**✦ წითელი წყარო**

ჭადრაკში რაიონის სპორტკომიტეტის გარდამავალი თასისთვის 10 კოლექტივი იბრძოდა. მათ თამაშები ქვეჯგუფებიდან დაიწყეს. ფინალში ყველას არბოშიკის გუნდმა აჯობა.

უ. წყარუაშვილი.

### გუშინ...

თბილისის კიროვის სახელობის პარკის მოედანზე გრძელდებოდა „ა" კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. მატჩები ასე დამთავრდა: მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „კოლოსი" (ბერეგოვო) 18:17 (8:7), „ბურევესტნიკი" (ერევანი) — „ცვეტმეტი" (კრასნოიარსკი) 18:18 (12:8), „შვიესა" (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 14:15 (5:9), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) 16:15 (9:6).

### გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. თბილისის დინამოელები შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოს". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

## დებიუტი „ქარვის ციგურებში"

როგორც ვიუწყებოდით, რიგაში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში — „ქარვის ციგურები". მაგრამ მაშინ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებულები გაგაცანით.

და აი, რედაქციაში სახიამოვნო ცნობა მოიტანა თბილისის ფიგურული ციგურაობის სპეციალიზებული სკოლის მთავარმა მწვრთნელმა ი. ჯაფარიძემ. მან ბევრი საინტერესო რამ გვიამბო შეჯიბრების პერიპეტიებზე, თავისი მოწაფეების — სპორტის ოსტატების მ. ცერცვაძისა და ლ. გაბელაიას გამოსვლებზე.

ამ შეჯიბრებაში, რომელსაც მეცამეტედ მასპინძლობდა ლატვიის დედაქალაქი, პირველად მონაწილეობდნენ თბილისელი გოგონები. ისინი პერსონალურად მიიწვიეს „ქარვის ციგურებში" საასპარეზოდ. ეს მათ ბოლო წლებში მოპოვებული წარმატებებით დაიმსახურეს.

ერთეულთა შეჯიბრებაში თბილისის 98-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ლ. გაბელაიამ, რომელმაც წინ მხოლოდ ლენინგრადელი ა. კორნევა (114,69 ქულა) და დასავლეთგერმანელი პ. ვაგნერი (114,68) გაუშვა, 113,89 ქულით III საპრიზო ადგილი დაიკავა.

თბილისის მე-9 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ მ. ცერცვაძემ 111,55 ქულით V ადგილი მოიპოვა. მარინე ერთადერთი იყო შეჯიბრების 15 მონაწილე ქალს შორის, რომელმაც ნებისმიერი პროგრამით სრიალში სამმაგბრუნიანი ნახტომი შეასრულა. ორივე ქართველმა გოგონამ სპეციალისტთა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომ მათ საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს. ისინი აქაც ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა.

ა. გურასაშვილი.

# კვლავ უძლიერესნი!



შვეციის ეროვნულ ნაკრებთან გუშინ მოგებული მატჩით (3:1) მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის წოდება კიდევ ერთხელ მოიხვეჭა სსრ კავშირის ნაკრებმა. საბჭოთა ჰოკეისტებმა ძლიერად ჩაატარეს მთელი გათამაშება და სპეციალისტებისთვის დღემდე ერთგვარ გამოცანად რჩება ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მათი გამანადგურებელი წაგების ამბავი.

ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორები შვედები გახდნენ.

* * *

სურათზე: მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან) — უფროსი მწვრთნელი ვ. ბობროვი, ვ. ლუტჩენკო, ა. მალცევი, ვ. ანისინი, ა. სიდელნიკოვი, ვ. ტრეტიაკი, ვ. რებნიოვი, ა. ვოლჩკოვი, გ. ციგანკოვი; ზედა რიგში — ვ. პეტროვი, ი. ლებედევი, ა. იაკუშევი, ვ. კუზნეცოვი, ა. ბოდუნოვი, ვ. ვასილიევი, ი. ლიაპკინი, ბ. მიხაილოვი, ვ. შადრინი, ი. შატალოვი, ს. კაპუსტინი, ა. გუსევი, ვ. ხარლამოვი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

# ყოფნა-არყოფნის საკითხი

ჰელსინკი, 19 აპრილი. ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს „იაჰალის" ყინულის სარბიელზე მხოლოდ ერთი მატჩი შედგა, მაგრამ სწორედ ამ თამაშს უნდა გადაეწყვიტა, ვინ დარჩებოდა „ა" ჯგუფში და ვინ დატოვებდა მას. ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები. პოლონელებს „ა" ჯგუფში დარჩენისთვის ამ მატჩში ფრეც ჰყოფნიდათ. მე-8 წუთზე მათმა თავდამსხმელმა კაჩიკმა ანგარიში გახსნა, მაგრამ მე-10 წუთზე გერმანელთა კაპიტანმა ნოაკმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. სულ რამდენიმე წამში ი. სლოვაკევიჩმა დააწინაურა პოლონელები, 5 წუთის შემდეგ კი პატჩინსკიმ კვლავ აღადგინა თანაფარდობა.

მეორე პერიოდში გატანილმა ერთადერთმა შაიბამ (ი. სლოვაკევიჩი) კვლავ დააწინაურა პოლონელები.

მესამე პერიოდი გერმანელთა განუწყვეტელი იერიშით მიმდინარეობდა, მაგრამ კონტრშეტევების დროს პოლონელებსაც რამდენიმეჯერ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. მე-14 წუთზე გდრ-ის ჰოკეისტთა მიერ გათამაშებული შესანიშნავი კომბინაცია კარენბაუერმა დააგვირგვინა. მატჩი ფრედ (3:3) დამთავრდა და გდრ-ის ნაკრები გაისად „ბ" ჯგუფში ითამაშებს, ხოლო ამ ჯგუფში წლეულს გამარჯვებული აშშ-ს ნაკრები მის ადგილს დაიკავებს.

● ●

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | მ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 8 | 0 | 1 | 61:17 | 16 |
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 7 | 0 | 2 | 53:15 | 14 |
| შვეცია | 9 | 5 | 1 | 3 | 37:21 | 11 |
| ფინეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 29:35 | 8 |
| პოლონეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 22:64 | 4 |
| გდრ | 10 | 1 | 1 | 8 | 21:71 | 3 |

● ● ● ●



ჩემპიონატში შესანიშნავი თამაშით და საკმაო შედეგიანობითაც გამოირჩევა შვეციის ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი (იგი ბევრ სპეციალისტს მიაჩნია უძლიერესად), 22 წლის ა. ჰედბერგი. ეს სურათი თბილისელმა ფოტოკორესპონდენტმა ა. სააკოვმა „იზვესტიის" პრიზის წლევანდელი გათამაშების დროს გადაიღო. ჰედბერგი (მარჯვნივ) შაიბისთვის ებრძვის ფინელ ი. იოისტილიას (მუქ მაისურში).

საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი ძმური რესპუბლიკები

# სპარტაკიადის სტარტები

18 აპრილს სტარტი აიღო ლიტვის VI საზაფხულო სპარტაკიადამ: კლაიპედაში ერთმანეთს შეხვდნენ კალათბურთელები, ხოლო პანევეჟისში — მოფარიკავეები. სექტემბრის შუა რიცხვებამდე გამართულ ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს 6 ათასი სპორტსმენი.

რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში შედის შეჯიბრებები სპორტის 41 სახეობაში.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სახეობების გარდა, ამჯერად ფეხბურთშიც მოეწყობა შეჯიბრება. ფინალური შეხვედრები ჩატარდება 11 ქალაქში, აგრეთვე, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა „პრეკულეს" ცენტრალურ დასახლებაში მოეწყობა ლიტვის საუკეთესო ცხენოსანთა შეჯიბრება. საბჭოთა მეურნეობამ ააგო მანეჟი და იპოდრომი, გახსნა სპორტული სკოლა ნორჩი ცხენოსნებისთვის. აფროსნობის მოყვარულნი ერთმანეთს შეეჯიბრებიან კურშის ყურეში, რომლის ნაპირებზეც შენდება „ჟალგირისის" აფროსანთა ახალი კლუბი.

შეჯიბრების ვადები ექსპერიმენტულია. რესპუბლიკური სპარტაკიადა პირველად ტარდება საკავშიროზე ერთი წლით ადრე, რათა დროულად დაკომპლექტდეს ლიტვის ნაკრები გუნდები. ამ გზით ისინი უკეთ მოემზადებიან 1975 წლის საკავშირო დათვალიერებისთვის.

შეჯიბრებები 3100 კოლექტივში ორ ტურად ჩატარდება და დამთავრდება გაისად მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამართული მასობრივი შეჯიბრებებით.

მასობრიობით გამორჩეულმა VI საზაფხულო სპარტაკიადამ დიდი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობის ყველა ეტაპზე. გამოუშვეს ბიულეტენები ცალკეულ სახეობათა მიხედვით, სპარტაკიადის მასპინძელი ქალაქებისა და რაიონებისთვის. დაამზადეს მხატვრული სუვენირები. ხელმარჯვე ოსტატებმა ლითონისგან, ხისგან, მინისგან, ქარვისგან დაამზადეს ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზები, სხვადასხვა საზოგადოების მიერ დაწესებული ჯილდოები. ზაფხულში რესპუბლიკის დედაქალაქში სპარტაკიადის აღსანიშნავად ხელოვნებისა და სპორტის დიდი დღესასწაული მოეწყობა.

ს. ვაინტრაუბასი.

ვილნიუსი.

# ნახევარი საუკუნე... ველოსიპედზე

ამას წინათ ლენინაბადელმა მასწავლებელმა ტატიანა სერგეევამ გადაიხადა თავისებური იუბილე — ველოსპორტში მეცადინეობის 50 წლისთავი. მრავალი წლის მანძილზე ამ სახეობის ნაყოფიერი პროპაგანდისთვის იუბილარს გადაეცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სიგელი და სამახსოვრო ჯილდოები.

ტანია სერგეევა 16 წლის იყო, როცა პირველად გამოვიდა შეჯიბრების სტარტზე ეს იყო სარატოვში 1924 წელს. მას შემდეგ 50 წელია, მაგრამ სერგეევას ველოსპორტი არ მიუტოვებია.

ქალაქში იგი საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ დადის, ველოსიპედი ურჩევნია. საზაფხულო არდადეგების დროს სამოგზაუროდ გამოწყობილი, ფოტოაპარატითა და ზურგჩანთით „შეიარაღებული" მასწავლებელი ლენინაბადის ოლქში, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ქალაქებში მოგზაურობს. იგი უნახავთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გზებზეც, რუსეთის სხვადასხვა ქალაქშიც. სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელიწადს ტ. სერგეევა ველოსიპედით ჩავიდა ლენინაბადიდან ლენინგრადში.

უკრაინის ერთ-ერთ გადატვირთულ ავტომაგისტრალზე იგი სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ინსპექტორმა შეაჩერა.

— საფრთხეში რატომ აგდებთ თქვენს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს?

— პირიქით, მე სწორედ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სახელით ვმოგზაურობ,—მშვიდად უპასუხა მოგზაურმა, რომელმაც მოძრაობის წესების საუცხოო ცოდნა გამოავლინა.

ახლა ტატიანა სერგეევა 66 წლისაა. იგი დღესაც უწინდებურად მხნე და ენერგიულია. სურდო და ავადმყოფობა არც იცის, რა არის. დარია თუ ავდარია, ველოსიპედით სეირნობს, დღეში 20 კილომეტრი მაინც უნდა გაიაროს.

ტ. სერგეევა ლენინაბადის ნორჩ ტურისტთა საოლქო სადგურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. მასწავლებელი და მისი მოწაფეები ამჟამად ემზადებიან აგიტგადარბენისთვის, რომელიც ლენინაბადის ოლქის ქალაქებში ეწყობა ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ლ. ფრიდკინი.

ლენინაბადი.

# ქულით უკეთესი

ლვოვის არმიელთა სპორტკლუბის სასროლეთზე გრძელდება სსრ კავშირის უძლიერეს ტყვიის მსროლელთა საგაზაფხულო შეჯიბრება. მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა სროლაში ლენინგრადელმა ვ. პესტანოვმა, უკრაინელმა ნ. მელნიკმა და თბილისელმა ე. აბაჯიანმა 600-დან 593-593 ქულა მოაგროვეს და ადგილებიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

მაგრამ ამ ვარჯიშში ყველას ქალმა აჯობა: მოსკოველმა ნ. ზიბალოვამ ვაჟთა ასპარეზობის პრიზიორებზე 3 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენა.

„გაქცეულ ტახზე" სროლაში იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ჟელეზნიაკმა (ოდესა), რომელმაც 574 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი მის მიერ შარშან დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს ქულით აღემატება.

ამ ვარჯიშის გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს კვარტეტმა — 1501 ქულა.

# [illegible]-74

● მინსკი, 19 აპრილი. ბელორუსიის თასზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე ქალთა შორის ყველას აჯობა ცნობილმა რუმინელმა რაპირისტმა ა. პასკუმ. ფინალში მან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, მინსკელი ე. ბელოვა (ოთხი მოგება), ხოლო III — უნგრელი მოფარიკავე ი. რეიტე (ორი მოგება). ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, ინგლისის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მონაწილეობენ. 21 აპრილს გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვლინდება.

# [illegible]

ასიც სპორტსმენი იქნებოდა, გამოჩენილი სპორტსმენი. მასთან ბევრს მოუხინჯავს მკლავის ძალა, მაგრამ...

ვაგლახ, არ დასცალდა... ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე, რომც არ გაეწვიათ, მოხალისედ წავიდოდა: მტერს ხომ არ გაათელვინებდა მშობლიურ ველ-მინდვრებს.

აი, რას მოგვითხრობს მიშა გორძამაშვილზე დუშეთის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ვ. კასრაძე:

— წინდუშეთი — ასე ეძახდნენ ამ ადგილს მაშინ... ამ ლამაზ გარემოში უამრავი კაკლის ხე ხარობდა. აქ ხშირად ნახავდით მახლობელი სოფლების მწყემსებს, რომლებიც მოკლე ჯოხებით, „ხალას" რომ ეძახიან, კაკალს აყრევინებდნენ ხეებს. „ხალის" ტყორცნა მკლავს საოცრად ავარჯიშებდა.

ფიზკულტურის მოედანზე ბადრონ და ხელყუმბარების ტყორცნაში ვავარჯიშებდით ახალგაზრდებს. გზად გამოვლილმა კობიაანთკარელმა გლეხმა მითხრა: რას იტანჯებით, მათიაანთ მიშას დაუძახეთ და მერე მოზომეთ მისი ნატყორცნიო.

მეორე დღესვე ვავეცანი მიშას. როცა ჩემი სურვილი გავუმხილე, შეიშმუშნა და მიპასუხა:

— აბა, რა გამოვა, გუშინ ჰიდაობის დროს მარჯვენა ხელი ვიღრძე...

მაინც წაეტანა ხელყუმბარას და მარცხენა ხელით ისროლა. გაზომვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელყუმბარა 68 მეტრზე დაცემულიყო.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მიშა ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა თბილისის სპორტულ კომიტეტს წარუდგინა. გამოცდაზე მიშამ მარჯვენა ხელით ისროლა ხელყუმბარა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველა იქ მყოფი გაოცებისგან გაირინდა...

მსაჯებმა ერთხმად აღიარეს: „ეს რაღაც უჩვეული მოვლენაა. წაიყვანეთ ეს კაცი, ავარჯიშეთ, მოუარეთ და, როცა შეგატყობინებთ, მაშინ ჩამოიყვანეთ".

მერე ომი დაიწყო... და აღარავის მოუკითხავს.

ომიდან კი მიშა გორძამაშვილი აღარ დაბრუნებულა. მამაცი მეომარი მტერს ბერლინამდე მისდევდა. 1945 წლის 22 აპრილს, სწორედ გამარჯვების კარიბჭესთან მიუსწრო სიკვდილმა.

ავსტრიის მიწაზე განისვენებს ქართველი ვაჟკაცი. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლით „მამაცობისთვის".

მიშას ოჯახში კერა არ გაციებულა. შვილები დაიზარდნენ: ქალიშვილი დაოჯახდა, ვაჟს — კარლოს — მამისეული სპორტული ნიჭი დაჰყვა და გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატში ჩარიცხეს. მას საქართველოს სპორტული ღირსება ბევრჯერ წარმატებით დაუცავს შუბის ტყორცნაში. მის მიერ 1966 წელს დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი (80,98 მ) დღემდე უცვლელია.

ც. კბილცეცხლაშვილი.

## საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატი

# მუდამ ბრძოლის ველზე

მოსკოვში, საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე გამგზავრების წინ ყრილობის დელეგატს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჭადრაკში ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნონა გაფრინდაშვილს შეხვდა და ესაუბრა „ლელოს“ კორესპონდენტი.

● **რას გრძნობთ, როგორც საქართველოს კომკავშირის წარგზავნილი საბჭოთა ახალგაზრდობის დიდ თავყრილობაზე?**

— პირველ ყოვლისა, ხიბლავს უზომოდ დიდი ნდობის გამო. კომკავშირი მუდამ ზრუნავდა ჩემი ოსტატობის სრულყოფისთვის და მამხნევებდა ძნელი საჭადრაკო ბრძოლების დროს. ამიტომ მეც მუდამ ვცდილობ ვიყო ამ ზრუნვისა და ნდობის ღირსი, ხელი შევუწყო სპორტის განვითარებას.

● **როგორც შევიტყვეთ, ყრილობის შემდეგ მიემგზავრებით დორტმუნდში, სადაც მიწვეული ხართ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ.**

— დიახ. ტურნირი 1 მაისს დაიწყება. როგორც შემატყობინეს, თამაში მომიწევს დიდოსტატებთან — უნგრელ საბოსთან, იუგოსლაველ დამიანოვიჩთან, აგრეთვე, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ საერთაშორისო ოსტატებთან. ჩანს, შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობა ძლიერი იქნება.

● **მერე რა გეგმები გაქვთ?**

— 15 მაისს დორტმუნდში ბრძოლას რომ დავამთავრებ, შინ დავბრუნდები. ივნისის დამდეგს მიწვეული ვარ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ფიდე-ს საიუბილეო კონგრესზე და ვაჟთა XXI საჭადრაკო ოლიმპიადაზე დასასწრებად. კონგრესი საინტერესო უნდა იყოს.

● **ქალთა ოლიმპიადა როდის და სად ტარდება, ვინ იქნება საბჭოთა გუნდში?**

— ჩვენი ოლიმპიადა სექტემბერ-ოქტომბერში კოლუმბიაში გაიმართება. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ჯერჯერობით მხოლოდ მე გახლავართ. ორ დანარჩენ ადგილს ალბათ პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი დაიკავებენ. ოლიმპიადა ჩემთვის მოუხერხებელ დროს ტარდება. მინდოდა მეთამაშა ვახტანგ ქარსელაძის მემორიალში და ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც, აგრეთვე, თბილისში მოეწყობა, მაგრამ ეს ტურნირები სწორედ ოლიმპიადის პერიოდში ჩატარდება.

● **სამაგიეროდ, ვიქტორ გოგლიძის მემორიალში ითამაშებთ.**

— მემორიალი დეკემბერშია. ამ დროს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშებაც ტარდება. ერთი სიტყვით, ჩემი ყველა გამოსვლა ისე უნდა დავგეგმო, რომ კარგად მოვემზადო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად 1975 წელს.

● **წლევანდელი სეზონი თქვენ წარმატებით დაიწყეთ: გახდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ბელგრადის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავეთ. „ლელო“ სისტემატურად აქვეყნებდა ამ შეჯიბრებების ამბებს, მაგრამ ბელგრადის ტურნირიდან არც ერთი პარტია არ დაბეჭდილა.**

— ბელგრადში რამდენიმე საინტერესო პარტია ვითამაშე. სხვათა შორის, შემოქმედების თვალსაზრისით ისინი სჯობს საკავშირო პირველობაში გათამაშებულთ. მაგალითად, კარგი იყო პარტიები იუგოსლავიის ჩემპიონ კალხბრენერთან, მედიანიკოვასთან.

აი, ეს პარტიები:

**გაფრინდაშვილი — კალხბრენერი**

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 მf6 4. e5 მfd7 5. f4 c5 6. c3 მc6 7. მdf3 ლa5 8. მფf2 b5 9. კd3 b4 10. მe2 კa6 11. f5 კ:d3 12. ლ:d3 კe7 13. მf4 c4 14. ლc2 მd8 15. მh5 კf8 16. g4 ლb6 17. კg5 g6 18. მf6+ მ:f6 19. კ:f6 ეg8 20. კ:d8 მფ:d8 21. f6 h6 22. ეhc1 ეc8 23. cb კ:b4 24. a3 კf8 25. ეab1 ლa6 26. ლd2 ლa4 27. b3 ლ:a3 28. bc dc 29. ეa1 c3 30. ლd3 ლb2+ 31. მფg3 c2 32. ე:a7 ლ:c1 33. ლb5 ლf4+ 34. მფf2 ლe3+ 35. მფg3 ლf4+ 36. მფg2 ლ:g4+ 37. მფf2 ლ:f3+ 38. მფ:f3 ეc3+ 39. მფf2 ეc7 40. ლb8+ ეc8 41. ლb7. შავები დანებდნენ.



ს უ რ ა თ ზ ე: ნ. გაფრინდაშვილი და ნ. მედიანიკოვა (მარჯვნივ) ბელგრადის ტურნირის საზეიმო დახურვაზე.

**„ლელოს“ ინტერვიუ**

**გაფრინდაშვილი — მედიანიკოვა**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მc3 a6 6. g3 მge7 7. მb3 b5 8. კg2 d6 9. 0—0 კb7 10. f4 g6 11. კe3 კg7 12. ლd2 ლc7 13. ეad1 ეd8 14. f5 მc8 15. fe fe 16. კh3 b4 17. მa4 მe5 18. ლ:b4 ლe7 19. კ:e6 a5 20. მ:a5 კa6 21. კh3 კ:f1 22. ე:f1 ეf8 23. ლb5+ მd7 24. მc6 ე:f1+ 25. მფ:f1 ლf7+ 26. კf4 მa7 27. მ:d8 ლ:f4+ 28. gf მ:b5 29. მe6 კh6 30. c4 მa7 31. b4 მc6 32. a3 მf6 33. მc3 მh5 34. მd5 მფf7 35. მფe2. შავები დანებდნენ.

მომწონს უნგრელ ვერეცისთან ნათამაშევი პარტიაც, რომელიც ცაიტნოტის გამო ლოგიკურ ფინალამდე ვერ მივიყვანე. სიჩქარეში სვლებს ვიმეორებდი. არადა, ლამაზად კი ვიგებდი: 41. ლg7+ მფh5 42. ე:e5+ fe 43. g4+ მფh4 44. ლe7+ ლg5 45. g3×.

**გაფრინდაშვილი — ვერეცი**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კ:c6 dc 5. 0—0 ლd6 6. d3 f6 7. კe3 კe6 8. მbd2 0—0—0 9. ლe2 g5 10. ეfb1 მe7 11. b4 მg6 12. a4 g4 13. მe1 მf4 14. ლd1 b6.



15. c4 მ:d3 16. c5 bc 17. bc მ:c5 18. ლc2 კe7 19. მc4 კ:c4 20. ლ:c4 ლe6 21. ლc2 მb7 22. ეb2 c5 23. ეab1 მd6 24. კ:c5 მფd7 25. კ:d6 კ:d6 26. მd3 მფe7 27. ეb7 ეd7 28. ეa7 ე7d8 29. მc5 კ:c5 30. ლ:c5+ მფf7 31. ლ:c7+ მფg6 32. ლg7+ მფh5 33. ეe7 ლb3 34. ეf1 ეd1 35. h3 ე:f1+ 36. მფh2 g3+ 37. fg ლe3 38. ლg4+ მფh6 39. ლg7+ მფh5 40. ლg4+ მფh6. ყაიმი.

● **მართალია, რომ მსოფლიო ჩემპიონი ქალისთვის ახალი გარდამავალი ოქროს თასი დაწესდა?**

— მართალია. მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ინახება მსოფლიო ჩემპიონ ქალთა თასი, რომელზეც ჩემპიონების გვარებია ამოტვიფრული. მაგრამ იგი ოქროსი არ არის. ახლა ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრს, დოქტორ ზაპლერს შეუქმნია ფონდი. აი, სწორედ ამ ფონდიდან გაკეთდება ოქროს თასი მსოფლიო ჩემპიონი ქალის დასაჯილდოებლად.

● **თქვენ როდის გადმოგცემენ ამ თასს?**

— არ ვიცი. შეიძლება ნიცაში გადმომცენ.

* * *

### ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირი 1974 წ. 3-20 მარტი

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. გაფრინდაშვილი (სსრკ) | ◆ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 11 | 1 |
| 2. ჟ. ვერეცი (უნგრეთი) | ½ | ◆ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 9½ | 2 |
| 3. ვ. კალხბრენერი (იუგოსლავია) | 0 | ½ | ◆ | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 8½ | 3—4 |
| 4. ტ. შტადლერი (იუგოსლავია) | 0 | ½ | 1 | ◆ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 8½ | 3—4 |
| 5. ს. მოკრჟალოვა (ჩეხოსლ.) | ½ | 0 | ½ | ½ | ◆ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 7½ | 5—7 |
| 6. ვ. მარკოვიჩი (იუგოსლავია) | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ◆ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 7½ | 5—7 |
| 7. კ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | ½ | ◆ | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | 1 | 7½ | 5—7 |
| 8. კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ◆ | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 6 | 8—9 |
| 9. ნ. მედიანიკოვა (სსრკ) | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ◆ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 6 | 8—9 |
| 10. მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ◆ | ½ | ½ | ½ | ½ | 5 | 10—11 |
| 11. ა. პიხაილიჩი (იუგოსლავია) | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | ½ | ◆ | ½ | ½ | ½ | 5 | 10—11 |
| 12. ჟ. ვასნეცკი (გფრ) | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ◆ | 1 | ½ | 3½ | 12 |
| 13. მ. ბოჟკოვიჩი (იუგოსლავია) | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ◆ | ½ | 3 | 13 |
| 14. მ. სრებრიჩი (იუგოსლავია) | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ◆ | 2½ | 14 |

## ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

● ●

# სპასკი — კარპოვი 1:1 (2 ყაიმი)

ლენინგრადი, 19 აპრილი. თეორიული დუელი კარო-კანის დაცვაში, დაწყებული II პარტიაში, სადაც კარპოვმა შავებით სწრაფად გაათანაბრა თამაში, დღეს IV პარტიაში გაგრძელდა. მე-6 სვლაზე სპასკიმ უფრო აქტიური გაგრძელება აირჩია, მე-11 სვლაზე კი გამოიყენა გაგრძელება, რომელიც, პრეს-ცენტრის ცნობით, სადებიუტო ცნობარებში არ არის. მალე კარპოვმა მთლიანად გაათანაბრა პოზიცია. ლაზიერების გაცვლის მომენტში სპასკიმ მას ყაიმი შესთავაზა, მაგრამ კარპოვმა წინადადება არ მიიღო.

ლაზიერის ფრთაზე თეთრი პაიკების უპირატესობა კარპოვმა თავისი ფიგურების აქტიური განლაგებით გააბათილა. შავების 23-ე სვლას ვერტიკალის გახსნა და ორივე წ[illegible] ცვლა მოჰყვა.

შექმნილი [illegible] შავებისთვის უკეთესი იყო, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კიდევ უფრო გაამარტივა პოზიცია ზუსტი თამაშით, რაც მხედრის დროებით შეწირვასთან იყო დაკავშირებული. 42-ე სვლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.

მატჩის ანგარიშია 1:1 (2 ყაიმი), V პარტია 22 აპრილს გაიმართება.

გთავაზობთ IV პარტიას.

**სპასკი — კარპოვი**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 კf5 5. მg3 კg6 6. h4 h6 7. მf3 მd7 8. h5 კh7 9. კd3 კ:d3 10. ლ:d3 e6 11. b3 მgf6 12. კb2 ლa5+ 13. კc3 კb4 14. კ:b4 ლ:b4+ 15. ლd2 ლ:d2+ 16. მფ:d2 c5 17. c4 cd 18. მ:d4 a6 19. მფe3 ეc8 20. ეac1 მფe7 21. f3 ეc5 22. მde2 ეhc8 23. f4 b5 24. cb ab 25. ე:c5 ე:c5 26. ეc1 მd5+ 27. მფf3 ე:c1 28. მ:c1 f5 29. მd3 მფd6 30. a4 ba 31. ba მ7f6 32. მe5 მფc5 33. მf7 მფb4 34. მd8 მc7 35. მe2 მ:h5 36. მd4 მd5 37. მმ:e6 მe7 38. მ:f5 მ:f5 39. g4 მh4+ 40. მფf2 მ:f4 41. მ:f4 მფ:a4 42. მe6 მg6. ყაიმი.

## სსრ კავშირის პირველობა

● ●

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აპრილისთვის

**ფეხბურთი**

**II ლიგა III ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ბ-11 | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბათუმი) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—0 | — | 4 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—1 | — | 4 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | — | 3 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 4—4 | 3 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—2 | — | 2 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | — | 2 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | — | 2 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 1 | 1 | 0 | 0 | 2—1 | — | 2 |
| „დილა“ (გორი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | — | 2 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | — | 2 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | — | 2 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | — | 2 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 4—4 | 1 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | — | 1 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 4—4 | 1 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—3 | — | 1 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 4—4 | 1 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 4—4 | 1 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | — | 0 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—4 | — | 0 |

# ზენიტის მატჩის ექო

ბელგრადის გაზეთი „სპორტი“ აქებს ორივე გუნდის თამაშს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა და იუგოსლაველი ფეხბურთელები ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები იყვნენ.

კორესპონდენტების შეკითხვაზე — რა აზრისა ხართ ამ მატჩზე, — სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა განაცხადა: „თამაში მომეწონა. იუგოსლაველებს ჰქონდათ ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ საბჭოთა გუნდი უფრო სახიფათოდ უტევდა და ამან განაპირობა მისი წარმატება“.

შემდეგ ბესკოვს ჰკითხეს, ვის გამოყოფდით ყველაზე მეტად გუშინდელ მატჩში. მან უპასუხა: „სიამოვნებით ვათამაშებდი ჩემს გუნდში შურიაკს, აჩიმოვიჩს, კატალინსკის, ბოგოევიჩსა და ბულანს. საბჭოთა ფეხბურთელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ოლშანსკიმ, კაპლიჩნიმ, ბლოხინმა და კონკოვმა. საერთოდ, ჩვენებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს მეორე ტაიმი“.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა მ. მილანიჩმა მაღალი შეფასება მისცა მთლიანად საბჭოთა გუნდს, შეუქო მას ბრძოლისუნარიანობა და, განსაკუთრებით, აგრესიული თამაში, რაც, მწვრთნელის აზრით, აკლდათ მასპინძლებს. იუგოსლავიის ნაკრების წევრთაგან მან მხოლოდ მეკარე მარიჩი გამოყო.

კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა, აგრეთვე, საბჭოთა ნაკრების კაპიტანს მ. ხურცილავას, რომელსაც ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ხურცილავამ თქვა: „მასპინძლებიდან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს შურიაკმა და კარასიმ. ჩვენი გუნდიდან მე პირადად არავის გამოვყოფ, — ყველამ მონდომებითა და თავგანწირვით ითამაშა“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. გრანატკინმა განაცხადა: „მომეწონა იუგოსლაველთა თამაში და მიმაჩნია, რომ ისინი კიდევ უკეთეს ფორმაში შევლენ მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ვუსურვებ თქვენს ფეხბურთელებს წარმატებებს მაინის ფრანკფურტსა და მიუნჰენში“.

## ნიშნებს წერენ ჟურნალისტები

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მეორე დღეს ზაგრების გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ“ დაბეჭდა თამაშის ანგარიში.

ზენიცაში ჩატარებულ მატჩს დაესწრო 30 ათასი მაყურებელი, 100-მდე ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტი. შეხვედრას სჯიდა უნგრელი არბიტრი შანდორ პუტრი. მას ეხმარებოდნენ ასევე უნგრელი მსაჯები დიულა ცირიაკი და მიხაი ჰალასი.

შეხვედრის მონაწილეებს ჟურნალისტებმა ტრადიციულად ნიშნები დაუწერეს:

იუგოსლავია: მარიჩი — 6, ბულანი — 8, ხაციაბდიჩი — 6 (46-ე წუთის შემდეგ — პეტროვიჩი — 6), მუჟინიჩი — 7 (75-ე წუთის შემდეგ — ჰოლცერი —), კატალინსკი — 7, ბოგოევიჩი — 7, ერკოვიჩი — 6, კარასი — 6 (85-ე წუთის შემდეგ — ბიეკოვიჩი —), შურიაკი — 7, აჩიმოვიჩი — 7, ვლადიჩი — 7 (69-ე წუთის შემდეგ — სანტრაჩი —).

სსრ კავშირი: რუდაკოვი — 7, ძოძუაშვილი — 7, ოლშანსკი — 7, ლოვჩევი — 6, კაპლიჩნი — 6, ტროშკინი — 6, იშტოიანი — 6 (46-ე წუთის შემდეგ ონიშჩენკო — 6), კონკოვი — 7, ფედოტოვი — 6 (46-ე წუთის შემდეგ — ყიფიანი — 8, 68-ე წუთის შემდეგ — მაჩაიძე —), ვერემეევი — 6 (46-ე წუთის შემდეგ — კოლოტოვი — 7), ბლოხინი — 8.

როგორც ხედავთ, უმაღლესი შეფასება — 8 ქულა — მიიღო მხოლოდ სამმა მოთამაშემ: ბულანმა, ბლოხინმა და ყიფიანმა.



## ფეხბურთი და ცრემლები

იტალიის ფეხბურთელთა პირველობაში, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ჩემპიონი შეიცვლება. ასპარეზობის ლიდერმა — კლუბმა „ლაციომ" XXIII ტურში დაამარცხა „რომა" მისსავე მინდორზე (2:1) და სატურნირო მდგომარეობა განიმტკიცა.

ამ მატჩზე მყოფი რომის კლუბის ათასობით გულშემატკივარი... ცხარე ცრემლით ტიროდა. თამაშის ბოლო წამებში ყველაზე აზარტული გულშემატკივრები, რომლებიც მიხვდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი წაგებას ვერ გადაურჩებოდა, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. მინდორზე სეტყვასავით წამოვიდა ბოთლები, ქოლგები, ფორთოხლები...

ახლა პოლიციის ჯერი დადგა. წესრიგის დამცველთა რაზმმა ტრიბუნებს შეუტია (იხ. სურათი) და აღელვებული მაყურებლების დასაშინებლად ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. ყველაზე „მღელვარე" გულშემატკივრები დააპატიმრეს.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## რობერტ ფიშერის რელიგიური რწმენის შესახებ

ამ ბოლო ხანს საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებენ ცნობებს რ. ფიშერის დეპრესიულ მდგომარეობაზე. მეტიც, 1973 წლის მაისში ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ ლენინგრადში შიში გამოთქვა, ფიშერმა შეიძლება ჭადრაკს თავი დაანებოსო. რა მოხდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ფიშერის რელიგიური რწმენა გაირკვევა.

ფიშერი მეშვიდე დღის ადვენტიზმის — „მეუფის მსოფლიო ეკლესიის" რელიგიური მიმდინარეობის წევრია. მეშვიდე დღის ადვენტისტური რელიგიური ორგანიზაცია ადვენტიზმის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა, ადვენტიზმი კი თავისთავად ქრისტიანული რელიგიის განშტოებას წარმოადგენს. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა გასული საუკუნის 30-ან წლებში. მისი დამაარსებელი იყო ყოფილი ბაპტისტი ვ. მიულერი.

ადვენტიზმის მოძღვრების ძირითადი კრედოა რწმენა ქრისტეს მეორედ მოსვლისა (სიტყვა „დვენტუს" ლათინურია და ნიშნავს მოსვლას, მოვლინებას). მიულერმა მიუთითა კიდეც ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღი. მაგრამ მიულერის წინასწარმეტყველება არ გამართლდა, რის შემდეგაც მორწმუნეთა დიდმა ნაწილმა მიატოვა მისი რელიგიური ორგანიზაცია. მაგრამ მიულერის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა მისმა მოწაფემ ე. უაიტმა. მან ჩამოაყალიბა ადვენტიზმის რელიგიური კრედო და შეიმუშავა ამ რელიგიური ორგანიზაციის წევრთა მორალური ქცევის ნორმები. ფიშერი სწორედ ადვენტიზმის იმ სახესხვაობის მიმდევარია, რომელიც უაიტმა ჩამოაყალიბა.

როგორც ყველა მეშვიდე დღის ადვენტისტი, ფიშერიც ცნობს ბიბლიის, პირველ ყოვლისა, ახალი აღთქმის წიგნების ჭეშმარიტებას. იგი ყველგან თან ატარებს უაიტის წიგნებს. ადვენტისტურ ლიტერატურას ფიშერი უფრო მეტ დროს ჩემპიონის სახელის მოპოვების შემდეგ უთმობს.

ადვენტისტურ რელიგიაში ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა შაბათის მხოლოდ ლოცვაში გატარება. როგორც ცნობილია, ამ წესს ფიშერიც იცავს. შეჯიბრების დროს შაბათობით თამაშზე ფიშერმა პირველად 12 წლის წინათ თქვა უარი. იმ დღიდან მისი მონაწილეობით ჩატარებული ყველა ტურნირის ორგანიზატორებს ამ მოთხოვნის შესაბამისად უხდებათ შეჯიბრების დღეების დაგეგმვა.

ერთ-ერთი ძირითადი იდეა, რომელსაც მორწმუნე ადვენტისტებს უნერგავენ, არის იდეა მათი რჩეულობისა. ადვენტისტ პრესვიტერთა მტკიცების თანახმად, ამ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევრები ღმერთის რჩეულნი არიან. სხვა ადამიანებთან შედარებით მათ დიდი უპირატესობა აქვთ. ამ იდეის გავრცელებისთვის ადვენტისტური პროპაგანდის უზარმაზი მანქანა მუშაობს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ადვენტისტთა პრესვიტერები ძირითადად აღწევენ მიზანს. მეშვიდე დღის ადვენტისტთა უმრავლესობას სჯერა ღვთის მიერ მათი გამორჩევის მითი. ამიტომ ისინი საზოგადოებისგან მოწყვეტილი, იზოლირებული, კარჩაკეტილი ცხოვრობენ, არა ჰყავთ ამხანაგებისა და მეგობრების ფართო წრე, არ არიან პოლიტიკური თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები.

მეშვიდე დღის ადვენტისტთა ზემოაღნიშნული და სხვა თვისებები თავისებურად გამოხატულია ფიშერის პიროვნებაშიც. ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ რეიკიავიკის მატჩის შემდეგ ფიშერმა კავშირი გაწყვიტა თითქმის ყველასთან, მათ შორის ოსტატ ბ. ცუკერმანთანაც, რომელთანაც შედარებით ახლოს იყო.

აღვნიშნავთ მეშვიდე დღის ადვენტისტთა რელიგიური ორგანიზაციის წევრთა კიდევ ერთ თვისებას. მათ სწამთ ღმერთისეული წინასწარგანსაზღვრულობა. მათი აზრით, ღმერთს ყველაფერი წინასწარ აქვს განსაზღვრული და მისი ნება-სურვილის შეცვლა არავითარ ძალას არ შეუძლია. ფატალური წინასწარგანსაზღვრულობის იდეა წითელი ზოლივით გასდევს მეშვიდე დღის ადვენტისტთა როგორც რელიგიურ კულტს, ისე მთელს მოძღვრებას. წინასწარგანსაზღვრულობისა და ბედის არსებობის რწმენა კარგად ჩანს ფიშერის ერთი შეხედვით მეტად უცნაურ ქცევაშიც.

მეშვიდე დღის ადვენტისტები ვალდებული არიან თავიანთი შემოსავლის მეათედი შეიტანონ იმ რელიგიური თემის სალაროში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებიან. აღნიშნული კანონი ყველა ადვენტისტმა უნდა დაიცვას. ამ მოთხოვნას ფიშერიც ასრულებს, მაგრამ, რაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ადვენტიზმის მესვეურებმა მას შემოსავლის 20 პროცენტის გადახდა მოსთხოვეს. ფიშერმა ჯერ გაკვირვება გამოთქვა, შემდეგ — პროტესტი, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა შეესრულებინა ეს მოთხოვნა, ისევე როგორც შავი სუტანის მატარებელთა სხვა სურვილები. ეგ კი არა, ფიშერმა ადვენტისტებს დაუთმო პასადენში (კალიფორნია) თავისი ახალი სახლიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ადვენტისტები იცავენ ეგრეთ წოდებულ „სანიტარულ რეფორმას", რომლითაც აკრძალული აქვთ ღორის ხორცის ჭამა, კაკაოს სმა, ცხოველური ცხიმის მიღება და ა. შ.

ადვენტისტთა მესვეურებს არც ის მოსწონთ, რომ ბოლო ხანებში ფიშერს დაუახლოვდა კათოლიკი პასტორი ლომბარდი. იგი დიდოსტატია, სტუდენტთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მაგრამ შემდეგ ჭადრაკი პასტორის ანაფორაზე გაცვალა. შიშობენ კათოლიკებმა არ გადაიბირონო.

მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ფიშერს არ ასვენებს კითხვა: რა არის ცხოვრების მიზანი? ამ კითხვაზე პასუხს იგი ადვენტისტთა რელიგიაში ეძებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემპიონი ვერც ამ რელიგიამ დააკმაყოფილა. ფიშერი ვერ ხვდება, რომ რელიგია ხელს უშლის, ზოგჯერ მეტად უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებს და მის ქცევას საზოგადოებისთვის მიუღებელს ხდის. ბოლო ხანებში იმის საშიშროებაც კი შეიქმნა, რომ ფიშერი რელიგიური მისტიციზმის გავლენით ჭადრაკის თამაშს დაანებებდა თავს.

ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელმა ედმონდსონმა ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ფიშერი სულ განმარტოვდა და საზოგადოებასთან ყოველგვარი კონტაქტები გაწყვიტა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჭადრაკს თავს არ დაანებებს. ჭადრაკი ფიშერისთვის თვით ცხოვრებაა".

ბოლო ცნობებით, ფიშერი თანდათან გამოდის დეპრესიული მდგომარეობიდან, არჩევს ლენინგრადისა და პეტროპოლისის საზონათშორისო ტურნირების პარტიებს. ჩემპიონმა პრესკონფერენციაც კი ჩაატარა, სადაც, სხვათა შორის, განაცხადა, სიკვდილამდე მსოფლიო ჩემპიონი ვიქნებიო.

დ. გეგეშიძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ესეც რეკორდია

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, „ჩელსისა" და „იფსვიჩ თაუნის" მატჩს (0:3) ინგლისის პირველობაზე დაესწრო სულ 8171 მაყურებელი. ეს გახლავთ მაყურებელთა დასწრების „უარყოფითი რეკორდი" 1966 წლის შემდეგ, როცა „არსენალისა" და „ლიდს იუნაიტედის" მატჩზე მხოლოდ 4554 კაცი მოვიდა.

### 400 მატჩი

მილანის „ინტერის" ცნობილი მცველი ბურგნიჩი უკვე 35 წლისაა, მაგრამ მტკიცედ ინარჩუნებს თავის ადგილს როგორც კლუბში, ისე ეროვნულ ნაკრებშიც. საინტერესოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობამ ბურგნიჩი მარჯვენა მცველის ადგილიდან გადაიყვანა და „ლიბეროს" როლის შესრულება დააკისრა. და აი, როგორც „ლიბერო", ბურგნიჩი დღემდე წარმატებით გამოდის ნაკრებში.

იმ დღეებში ბურგნიჩს იუბილე ჰქონდა — იტალიის ჩემპიონატებში მე-400 მატჩი ითამაშა „ინტერნაციონალეს" შემადგენლობაში.

### მოლაპარაკება ჰაგენთან

ირანის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს მიაღწიოს ნაკრების თამაშის მკვეთრ გაუმჯობესებას. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ცნობილ ინგლისელ სპეციალისტ ჰაგენთან, რომელსაც ნაკრების ხელმძღვანელობას სთავაზობენ.

ჰაგენმა სახელი გაითქვა „ბენფიკაში" მუშაობით, როცა „გამოაბრუნა" თითქოს საბოლოოდ დეზორგანიზებული გუნდი და მაშინ სარეკორდო შედეგით მოაგებინა მას პორტუგალიის ჩემპიონატი. ამის შემდეგ ჰაგენი ინგლისში დაბრუნდა და მიზეზიც განაცხადა: ვერ შევძელი „ბენფიკის" დირექტორატთან საერთო ენის გამონახვაო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 21 აპრილი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). დასაწყისი 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). 14 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი)—„დილა" (გორი). 14 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). 16 ს.

**ავტოკროსი.** რუსთავის გზატკეცილის მე-20 კილომეტრი. 21 აპრილი. რესპუბლიკური შეჯიბრება. დასაწყისი 12 ს.

**ხელბურთი.** კიროვის სახელობის პარკის მოედანი. „ა" კლასის I ჯგუფის ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. დღეს: „კოლოსი" (ბერეგოვო) — „შვიესა" (ვილნიუსი). დასაწყისი 10 ს. „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი" (ერევანი). 11 ს. 10 წთ. „ცვეტმეტი" (კრასნოიარსკი)—მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე). 12 ს. 20 წთ. „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი). 13 ს. 30 წთ.

### მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადა

**აკრობატიკა.** თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი (მონტინის ქ. № 14). 21 აპრილი. მამაკაცთა-ქალთანრიგოსანთა ნებისმიერი პროგრამა. დასაწყისი 15 ს.

**ხელბურთი.** 21 აპრილი. კიროვის სახ. პარკის მოედანი. საშუალო ასაკის ჭაბუკთა გუნდების ფინალური ტურნირი. 17 ს. ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (კიევის ქ. № 4). საშუალო ასაკის გოგონათა გუნდების ფინალური შეხვედრები. 15 ს.

**კალათბურთი.** კალინინის სახ. რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ენგელსის ქ. № 50). უმცროსი ასაკის ბიჭების სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლების გუნდების ასპარეზობა. 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ბოჭორმის ქ. № 71). უმცროსი ასაკის გოგონების სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლების გუნდების შეხვედრები. დასაწყისი: 21 აპრილს — 10 ს., 22 აპრილს — 15 ს.

**ფრენბურთი.** თბილისის სპორტკომიტეტის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). საშუალო ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების შეჯიბრება. დასაწყისი: 21 აპრილს—10 ს., 22 აპრილს — 15 ს.

**ჭადრაკი.** „ბურევესტნიკის" საჭადრაკო კლუბი. 21 აპრილი. გადადებული პარტიების დამთავრება. 10 ს. 22 აპრილი. VIII ტური. 15 ს. 30 წთ.

## მძლეოსნურ მერიდიანებზე

### გუსტავ რულანტსი მონრეალს უმიზნებს

37 წლის ბელგიელი მძლეოსნის გუსტავ რულანტსის სახელი მსოფლიოში ერთობ პოპულარულია. რულანტსმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 12 წლის წინათ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ერთი წლის მერე ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი (8.29,6) დაამყარა, ტოკიოს ოლიმპიადაში ოქროს მედალი დაისაკუთრა, ოლიმპიადის მომდევნო წელს კი მსოფლიო რეკორდი 8.26,4-მდე დაიყვანა. მერე მან ამპლუა გამოიცვალა — მარათონზე გადავიდა და ევროპის 1969 წლის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო 1972 წელს ერთსაათიან რბენასა (20784 მ) და 20 კილომეტრზე შეჯიბრებაში (57.44,4) მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ რულანტსი მარათონში ენერგიულად ვარჯიშობს და მონრეალის ოლიმპიადაში გამარჯვების იმედიც აქვს. გეტებორგში გამართული ერთ-ერთი შეჯიბრების დროს მან ჟურნალისტებს განუცხადა: შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვარ და კანადიდან შინ ხელცარიელი არ დავბრუნდებიო (174 სმ სიმაღლის სპორტსმენი 58 კგ-ს იწონის).

### ემილ პუტემანსის პასუხი

ჩვენ ვწერდით, რომ 5000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი, ბელგიელი ე. პუტემანსი „ხუთი წისქვილის" კროსში თვითნებურად გამოსვლისთვის მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ 31 ივლისამდე დისკვალიფიკაციით დასაჯა.

პუტემანსმა ამის პასუხად ფედერაციას შეატყობინა, რომ განზრახული აქვს წლეულს მონაწილეობა არ მიიღოს არც ერთ შეჯიბრებაში, მათ შორის ევროპის ჩემპიონატშიც (რომში).

ფედერაცია მსოფლიო რეკორდსმენის განცხადებამ საგონებელში ჩააგდო, ვინაიდან პუტემანსის უარი რომში, „ფორო იტალიკოს" სტადიონზე გამოსვლაზე ბელგიის გუნდს ოქროს მედალს დააკარგვინებს.

### სექტორს დაუბრუნდა

1967 წელს 18 წლის ჯერი პროქტორმა სიგრძეზე ხტომაში აშშ-ს ჩემპიონობა მოიპოვა. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ იგი ამ ქვეყნის ამომავალი ვარსკვლავი იყო და მეხიკოს ოლიმპიადაში დიდ წარმატებასაც უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენი მძიმედ დაშავდა. დამბლამ და ოპერაციებმა პროქტორი სპორტს იმდენი ხნით ჩამოაშორა, რომ სარბიელზე მის დაბრუნებას აღარავის ფიქრობდა. მაგრამ 25 წლის ჯერი სიგრძეზე ხტომის სექტორს ისევ დაუბრუნდა და ამერიკის მძლეოსნობის მოყვარულთა კავშირის ხელმძღვანელობას ახალი იმედი შთაუნერგა — ირვინში გამართულ შეჯიბრებაში 809 სმ სიგრძეზე გადახტა. ორი დღის შემდეგ მან აქვე ახალი წარმატება მოიპოვა. აი, მისი შედეგები სერიების მიხედვით: 817 სმ; 0; 796; 792; 0; 827.

იმავე შეჯიბრებაში იამაიკელმა დ. ქვორიმ 220 იარდი (201,17 მ) 20,4 წამში გაირბინა, დ. რიჩმა 120 იარდზე (109,73 მ) თარჯრბენში ბრწყინვალე მაჩვენებელს (13,5) მიაღწია, ხოლო რ. კეროგენმა (ორივე — აშშ) ჭოკით 536 სმ დაძლია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02555